პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 მაისი, ხუთშაბათი. 1987 წ. № 94 (9505) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

**გუშინ** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის მზადებისა და ჩატარების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა. იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ადგილებზე სპორტის ცალკეულ სახეობებში გუნდების მისაღებად და შეჯიბრებების ჩასატარებლად მოისმინეს აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, გორის, ფოთის, რუსთავის, სამტრედიის, თელავის და ხობის წარმომადგენელთა ინფორმაციები. განიხილეს აგრეთვე სპორტულ დელეგაციებთან საშეფო-კულტურული მუშაობის, შეჯიბრებების დღეებში ქ. თბილისის გაფორმების, ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების საკითხები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზურაბ ჩხეიძემ.

---

**გუშინ ჭადრაკის სასახლეში გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საერთაშორისო დიდოსტატები ელენა ახმილოვსკაია, ლიუდმილა ზაიცევა, ნატალია კოროპლიოვა, საერთაშორისო ოსტატები თამარ ხუგაშვილი, ქეთევან არახამია, იჭია ეიკმანი (რუმინეთი), ჭრისტინა ნიუბერგი (შვეიცია). ოსტატები ციალა ჭახოშვილი, ჰენრიეტა ლაგვილავა, ლილიანა ლეშნერი (პოლონეთი), ევგენია პეიჩევა (ბულგარეთი), ოსტატობის კანდიდატი ქეთევან კახიანი.**

**დღეს I ტურის შეხვედრებია.**

---

## ერთგვარი ბიბლიოთეკა ან ჯერ ნინ ვერ წავალთ

სიყალბე, რომელიც სახელმწიფო მიღების კომისიამ ამხილა.

**როგორც** ვიუწყებოდით, რესპუბლიკის სპორტსახკომის თაოსნობით სპორტში სახელმწიფო მიღება დაწესდა. ერთი შეხედვით, ცოტა უცნაურადაც კი ეჯერს ასეთი ნიაზლის შემოღება იმ სფეროში, სადაც მზა პროდუქციას არ ვიღებთ. მაგრამ კარგი, გამართული მუშაობა ხომ ფიზკულტურასა და სპორტში ისევე აუცილებელია, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. სახელმწიფო მიღება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ცალკეულ სპეციალისტთა თუ მთელი ორგანიზაციის მრავალწლიანი მუშაობა, საუკეთესოზე გამოვიყვანოთ ყველა, ვინც გულწრფელად და უპასუხისმგებლოდ ეკიდება მინდობილ საქმეს, ამასთან, რასაკვირველია, წარმოვაჩინოთ უნარიანი მწვრთნელები, სხვა მუშაკები.

თუ რაოდენ საჭირო ყოფილა სახელმწიფო მიღება სპორტში, ეს სპორტსახკომში შექმნილი სპეციალური კომისიის პირველმა რეიდებმაც გვიჩვენა. გუშინ და გუშინწინ კომისია თბილისის სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსურ სკოლას ეწვია და მშვილდოსნობის ჯგუფების მუშაობა შეამოწმა...

ძნელი სათქმელია, მაინც რა იგულისხმეს სახელმწიფო მიღებაში სპორტსკოლის ხელმძღვანელებმა (დირექტორი ემზარ ფარჯანაძე, სასწავლო ნაწილის გამგე ნიკოლოზ მალეცი). მომზადებით კი საგანგებოდ „მომზადებულან". მათ რიხიანი პატაკით აცნობეს კომისიის წევრებს, რომ მშვილდოსნობის ორ ჯგუფში 16 სპორტსმენი ირიცხება და 15 მოზარდი წარმოადგინეს--ერთი ავად არიხო. ის ერთი მშვილდოსანი მართლაც ავად გამხდარიყო, მაგრამ საგულდაგულო შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სკოლას ოთხი სპორტსმენი... სხვა სკოლებისგან „ესესხებინა".

ეს „მარჯვე" ტრიუკი სკოლის მუშაკებმა, რასაკვირველია, „მკვდარი სულების" დასაფარავად გამოიყენეს, იმდენი სიმარჯვე კი, რომ მოუმზადებელი მშვილდოსნები მომზადებულად ეჩვენებინათ, მათ, რასაკვირველია, არ ჰქონდათ. თერთმეტი სპორტსმენიდან ათმა სპეციალურ მომზადებაში ნორმატივი ვერ ჩაბარა. არ გეგონოთ, ოლიმპიურ მოთხოვნებზე იყო ლაპარაკი. ის ნორმატივები თვითონ ასეთი ტიპის სკოლის მოთხოვნებში წერია.

ახლა საკითხს ცოტა კონკრეტული სახე მივცეთ. სკოლას მშვილდოსანთა ორი ჯგუფი ჰყავს. ერთ-ერთში (მწვრთნელი ლუბა სორდია) სიის მიხედვით ყველაფერი რიგზე იყო, ის ოთხი „ლეგიონერი" კი მწვრთნელმა ვასილ ტროპინმა დროებით „შემატა" თავის ჯგუფს.

ჩვენი მშვილდოსნები ხშირად და სამართლიანადაც ბაზების ნაკლებობას უჩივიან. მაგრამ ისეთი მუშაობით, როგორსაც თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სკოლის მშვილდოსნობის ჯგუფებში ეწევიან, ერთ ნაბიჯსაც ვერ წავდგამთ წინ, თუნდაც თითოეულ მწვრთნელს პერსონალური ოლიმპიური სახროლეთი აუშენონ.

---

**მშვიდობის ველორბოლა**

## ველორბოლამ საზღვარი გადალახა

**მშვიდობის** ველორბოლის მეხუთე ეტაპი სტარტს გდრ-ის ქალაქ გერაში აიღებს, გაივლის 168 კილომეტრს და ჩრდილოეთ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ მოსტში დამთავრდება.

მეოთხე ეტაპი კი (გერას გარშემო, 56 კილომეტრი) გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ოლაფ ლუდვიგმა მოიგო. ორ მომდევნო ადგილზეც მისი თანაგუნდელები უვე რაბი და უვე ამპლერი გავიდნენ.

გუნდურ ჩათვლაში წინ კვლავ საბჭოთა კავშირის ნაკრებია — 36:35.43. გდრ-ის გუნდი გამარჯვებულს 15 წამით ჩამორჩება, პოლონეთის გუნდი კი 1 წუთითა და 3 წამით.

ოთხი ეტაპის ჯამში პირველ სამ ადგილზე გდრ-ის ველოსიპედისტები არიან: ოლაფ ლუდვიგი (12:11.36), უვე რაბი (ლიდერთან 2 წამს აგებს) და უვე ამპლერი (ლუდვიგს 15 წამით ჩამორჩება). IV ადგილზეა ხარკოველი პიოტრ უგრიუმოვი (12:11.54), მეხუთეზე — მშვიდობის ველორბოლის დებიუტანტი გორკელი დმიტრი კონიშევი (12:11.58).

## საქართველოს სპორტსახკომში

**როგორც** ძიუდოს მოყვარულებმა იციან, პარიზში, ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ფალავნები — კობა კურტანიძე და აკაკი კიბორძალიძე. კურტანიძემ ოქროს მედალი მოიპოვა, კიბორძალიძემ — ბრინჯაოსი.

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ჩვენს სახელოვან ფალავნებს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ძიუდოს ქართული სკოლის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის. გამოითქვა რწმენა, რომ ჩვენი ძიუდოისტები მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე, სხვა დიდ შეჯიბრებაშიც გაახარებენ გულშემატკივრებს.





## ნორჩ ძიუდოისტთა სკოლა

**მარნეულში** ჩამოსახლებულმა მესტიელებმა — სპორტის ოსტატებმა დავით ნავერიანმა, თენგიზ ნავერიანმა და რევაზ გუჯეჯიანმა გადაწყვიტეს შეექმნათ ძიუდოს სპეციალური სკოლა. მათ თაოსნობას მხარი დაუჭირეს პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, რესპუბლიკის სპორტსახკომმა. ქალაქის სპორტსკოლაში ძიუდოისტებს გამოუყვეს საჭარჯიშო დარბაზი. შეუძინეს ინვენტარი, სპორტული ფორმა.

ახალი სკოლის მოსწავლეებმა მეცადინეობა მარტში დაიწყეს.

**სურათებზე:** საკონტროლო ორთაბრძოლა; სპორტის ოსტატები რევაზ გუჯეჯიანი, თენგიზ ნავერიანი და დავით ნავერიანი; გულშემატკივრები; ვარჯიშობენ ნორჩი ძიუდოისტები.

ნ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



**კვირას, 17 მაისს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდება საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნურ ტყორცნებში სპორტის დამსახურებული ოსტატის ნინო დუმბაძის სახელობის პრიზზე.**

**დასაწყისი 10 ს.**

## ორი ლიდერი

**ათენში** გრძელდება წყალბურთელთა მსოფლიო თასის გათამაშება. მესამე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი — კუბა 11:10 (3:3, 3:1, 2:2, 3:4); იუგოსლავია—ესპანეთი 11:8, გფრ—საბერძნეთი 10:4, აშშ — იტალია 7:3.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 1 | 0 | 31-23 | 5 |
| გფრ | 3 | 2 | 1 | 0 | 30-23 | 5 |
| აშშ | 3 | 2 | 0 | 1 | 22-18 | 4 |
| იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | 25-22 | 4 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 2 | 0 | 32-29 | 4 |
| კუბა | 3 | 1 | 0 | 2 | 31-26 | 2 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 21-31 | 0 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 13-33 | 0 |

## ტურნირს ტურნირი მისდევს

**როგორც** იცით, თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილე მოზარდმა ჩოგბურთელებმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქიდან ტაშკენტის კორტებზე გადაინაცვლეს და იქ გაგრძელეს ასპარეზობა. წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები: დათო კაჭარავა და დათო კვარაცხელია. ამ წყვილმა სამატიო მეორე ადგილი მოიპოვა, პირველი ადგილი კი ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელებმა თ. ზდრაჟილამ და ა. მიშკოლცმა დაისაკუთრეს.

ზდრაჟილა და კაჭარავა ერთეულთა ფინალშიც ერთმანეთის პირისპირ დადგნენ და -აქაც ჩეხოსლოვაკიელმა სტუმარმა იმარჯვა.

• • •

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სარბიელზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლეჟავას მემორიალი — სტუდენტთა საკავშირო ასპარეზობა. ქალთა შორის ერთეულთა შეხვედრებში მეორე სამრიზო ადგილი წილად ხვდა დათო კვარაცხელიას და — ელიკოს, პირველობა კი ერევნელ ნელი მოვსესიანს დარჩა.

ვაჟთა შეჯიბრებაში სამრიზო ადგილები დაიკავეს: 1. ა. ხაჩატრიანი (ერევანი), 2. ვ. კოზლოვი, 3. ა. კოსტინი (ორივე — მოსკოვი).

ერევნელების ა. და გ. ხაჩატრიანების გამარჯვებით დამთავრდა წყვილთა ფინალი, მათ სძლიეს მასპინძელ ჩოგბურთელებს — გ. ბრეგვაძეს და კ. გაბრიჩიძეს.

---

# ძვირფასო მეგობრებო!

**18-24 მაისს ტარდება ველოსპორტის მოყვარულთა საკავშირო კვირეული**

**ველოსიპედი, დღიდან მისი გამოგონებისა, დიდი მოწონებით სარგებლობდა, მაგრამ ისეთი პოპულარობა, როგორიც მას დღეს აქვს, არასოდეს ქონია.**

ტექნიკური პროგრესის არნახული აღმავლობის ეპოქაში, მილიონობით ადამიანი სარგებლობს ველოსიპედით. ეს არცაა გასაკვირი, ის ხომ გადაადგილების საუკეთესო საშუალებაა. ამავე დროს ველოსიპედი კარგ შედეგს იძლევა XX საუკუნის „ავადმყოფობის" — ჰიპოდინამიის (ფიზიკური აქტიურობის დაქვეითების), გულსისხლძარღვთა დაავადებისა და, წარმოიდგინეთ, ინფარქტგადატანილთა სამკურნალოდაც. ესეც რომ არა, ველოსიპედით სეირნობა საკუთარი სხეულის დამორჩილების იმ განუმეორებელ განცდას მოგანიჭებთ, რომელსაც კუნთების „სიხარული" ჰქვია.

მართლაც, რა შეედრება ველოსიპედით სეირნობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახის წევრებისა და მეგობრების წრეში ხარ და არც ავტომანქანის შიში გაქვს და არც ძვირადღირებული ველოსიპედის შეძენა გჭირდება.

**ძვირფასო მეგობრებო! გიწვევთ თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე, სადაც თქვენს განკარგულებაში იქნება:**

**ყველა მარკისა და ზომის 100 ველოსიპედი (ვაჟების, ქალებისა და მოზარდებისათვის);**

**ხაგანგებოდ მოწყობილი განათებული და მუხიკალურად გახმოვანებული ველოტრასები.**

**კეთილმოწყობილი დახვენების ოთახები, ხაშხაპე-გასახდელები;**

**ნურც ავდარი შეგაშინებთ და ნურც სპეციალური ფეხსაცმლის უქონლობა, ველოდრომის დირექციამ ამაზეც იზრუნა. თქვენი ზომის ფეხსაცმელი და საწვიმარი ლაბადა ყოველთვის მოიძებნება;**

**გამოცდილი მწვრთნელები გაგიწევენ კონსულტაციას. მოგემსახურებათ საექიმო კაბინეტი, იმუშავებს ბუფეტი.**

**მაშ ახე, მეგობრებო! გიწვევთ ყველას, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან ერთად, თბილისის ცენტრალური ველოდრომი მზად არის მოგემსახუროთ თქვენთვის ხასურველ დროს.**

ველოდრომი იმუშავებს ყოველ დღე, დილის 8 საათიდან საღამოს 22 საათამდე.

გვეწვიეთ, გვერწმუნეთ, არ ინანებთ.

ჩვენი მისამართია: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 6.

ტელეფონი: 39-11-92, 39-71-26.



**ველოდრომის დირექცია.**

**დიდი სპორტი — თანამედროვე ტენდენციები, განვითარების პერსპექტივები**

# კარგია თუ არა, რომ სპორტი ახალგაზრდავდება?

**სულ პატარა სპორტსმენი გოგონების ფენომენალური მიღწევები ტანვარჯიშში, ცურვაში, ჩოგბურთსა და ზოგიერთ სხვა სახეობის სპორტში ქომაგთა და სპეციალისტთა არა მარტო აღტაცებას, არამედ შეშფოთებასაც იწვევს. სულ უფრო ხშირად გაისმის ტერმინი „ორგანიზმი გადაიწვაო“.**

**უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ყველაზე მეტი წარმატება საკავშირო და საერთაშორისო არენებზე მცირე ასაკში მიაღწიეს, ძირითადად, ტანმოვარჯიშე გოგონებმა. ამიტომ სასაუბროდ იმის შესახებ, თუ დატვირთვა რა გავლენას ახდენს გოგონებზე, საქინფორმის კორესპონდენტმა მოიწვია საქართველოს მხატვრული და სპორტული ტანვარჯიშის ქალთა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძე და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი რუსუდან სიხარულიძე, აგრეთვე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი არჩილ ხომასურიძე.**

ნელი სალაძე.

რუსუდან სიხარულიძე.



არჩილ ხომასურიძე.

**კორესპონდენტი:** 1985 წელს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მასალები „ორგანიზმის გადაწვის“ პრობლემების შესახებ. მათში კონკრეტული მონაცემებით გაანალიზებულია მიზეზები, რომელთა გამო ბევრი იმედის მომცემი ახალგაზრდა სპორტსმენი ადრე ტოვებს დიდ სპორტს.

საფრანგეთის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ჟან-პოლ ლოტი ერთ დროს ადრეული ასაკიდან ინტენსიური წვრთნის მომხრე იყო, მაგრამ ახლა კატეგორიულად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ დიდ ტურნირებზე დაუშვან ისინი, ვისაც 16 წელი არ შესრულებია. „ბავშვები უნდა ვითარდებოდნენ, როგორც ბავშვები, ნორმალურ პირობებში, — ამბობს იგი. — ძალიან ბევრი, ვითარდება რა ფიზიკურად უკვე 16-17 წლის ასაკში, გონებრივად განუვითარებელი რჩება. მათთან სალაპარაკო თითქმის არაფერი გაქვს, ისინიც ამას არც ესწრაფვიან. გონებრივად ისინი მკვდრები არიან — ეს ყველაფერი ჩვენი ბრალია“.

რა თქმა უნდა, ფრანგი მწვრთნელის გამონათქვამი უტრირებულია, მაგრამ ადვილი გასაგებია, თუ რა ჭქონდა მას მხედველობაში: მეტისმეტმა დატვირთვამ ნორჩი სპორტსმენები შეიძლება გადააქციოს ერთგვარ რობოტებად. მაგრამ, ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ, თუ „ფრთები გამოესხა და გაუმაგრდა, ფრენას ხელი რად უნდა შევუშალოთო?“. ხომ გვხვდებიან „ვუნდერკინდებიც“ — ბავშვები, რომლებიც ადვილად ამარცხებენ თავიანთ ტოლებს, ნორმალურად არიან განვითარებული და ჯანმრთელობაც არ აკლიათ. მაშ რატომ უნდა ავუკრძალოთ მათ აიმაღლონ ოსტატობა და შეეჯიბრონ უფროსებს?

დოქტორი ჯიმი ლორი, ამერიკელი სპორტული ფსიქოლოგი, აცხადებს, რომ ახალგაზრდა სპორტსმენებს უნდა ვუნერგავდეთ არა გამარჯვებების, არამედ ბრძოლის, ასპარეზობის სიყვარულს. თვით მონაწილეობა მასში დადებით ემოციებს იწვევს. წაგება ბავშვისათვის არ უნდა იყოს დიდი უბედურება, არ შეაწყვეტინოს მას ვარჯიში. პრაქტიკულად ხომ ყველაფერი წინა აქვს.

ნათქვამი, რასაკვირველია მეტწილად ეხება პრობლემის ფსიქოლოგიურ მხარეს, თქვენი აზრით კი, რა ასაკიდან შეიძლება დაიწყოს სპეციალიზაცია იმავე ტანვარჯიშში?

**ნ. სალაძე:** ადრეული სპეციალიზაციის წინააღმდეგი არა ვარ და 7-8 წლის ასაკ ყველაზე შესაფერისად მიმაჩნია ვარჯიშის დაწყებისათვის. და თუ საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში ბავშვებისათვის მოვაწყობთ წრეებს, რომლებშიც ისინი ეზიარებიან ქორეოგრაფიას, მუსიკას, ცეკვასა და სპორტს, სპეციალიზაცია შეიძლება უფრო მოგვიანებითაც დაიწყოს.

**რ. სიხარულიძე:** ჩემი აზრით, სპორტის ანბანისადმი ბავშვთა ზიარება ექვსი წლიდან უნდა იწყებოდეს. ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს დავაინტერესოთ ისინი, ვარჯიში ჩავატაროთ გამომგონებლურად, მივცეთ საინტერესო თამაშის ხასიათი. ასეთ გატაცება შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე სპორტის სიყვარულად გადაიქცევა და ამიტომ აჩქარება არ ღირს. რაც შეეხება ვარჯიშს სპორტულ სკოლებში, იგი უნდა იწყებოდეს რვა წლიდან, უაღრესად საჭიროა, რომ ვავარჯიშებდეთ უკვე ფიზიკურად მომზადებულ ყმაწვილებს. დიდ სპორტში უნდა მოდიოდნენ საუკეთესოები, სპორტსკოლების უმრავლესობა ხომ „ოლიმპიური რეზერვის“ საპატიო წოდებას ატარებს.

**ა. ხომასურიძე:** მაღალი შედეგების მისაღწევად სპორტში მეცადინეობა ადრეული ასაკიდან საჭიროა, ამასთან პროფესიული საფუძველზე. მთავარია საწვრთნელი პროცესის ორგანიზაცია: დატვირთვის დოზირება, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დაგეგმვა, რომელშიც მწვრთნელთან ერთად აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ექიმიც.

**კორესპონდენტი:** და მაინც, როცა გოგონა მონაწილეობს დიდ ასპარეზობაში, მოქმედებას იწყებს ფაქტორები, რომლებიც განსხვავდება წვრთნის პროცესში არსებული ფაქტორებისგან. უკანასკნელ ხანს შენელდა გოგონათა ინტერესი სპორტული ტანვარჯიშისადმი. ალბათ ამაში თავისი როლი ადრეულმა სპეციალიზაციამ, პროგრამის გართულებამაც შეასრულა?

**რ. სიხარულიძე:** უდავოა. მაგრამ ამის მიზეზად მწვრთნელებიც მიმაჩნია. ვირჩევთ რა სპორტული შედეგების მიღწევის ყველაზე იოლ გზას და ვართულებთ პროგრამას სხვადასხვა ტრიუკით, ხშირად ვივიწყებთ გეგმაზომიერ მუშაობას. სწორედ ამიტომ 17-18 წლის ასაკში ახალგაზრდა ორგანიზმი ხშირად ვერ უძლებს მეტისმეტ დატვირთვას. ამას მოსდევს სავალალო შედეგი. რაიონულ და საქალაქო ასპარეზობაში მონაწილეობა შეიძლება მივაღებინოთ 10 წლის გოგონებს, საკავშირო და რესპუბლიკურში კი იმ სპორტსმენებს, რომლებიც 11-12 წლისანი იქნებიან. ერთხელ კიდევ მინდა შეგახსენოთ, რომ თითოეული ბავშვისადმი მიდგომა უაღრესად ინდივიდუალური უნდა იყოს.

**ნ. სალაძე:** სპორტი ძალიან გაახალგაზრდავდა. დღეს გამოცდილი ტანმოვარჯიშეების გვერდით სულ ბავშვები ზამოდიან. ჩემი აზრით, ამის გამო მხატვრული ტანვარჯიში ბევრ რამეს კარგავს. ბავშვი ვერ გამოხატავს ყველა გრძნობასა და ემოციას, რომლებიც ჩვენი სახეობის სპორტისთვის არის დამახასიათებელი. ამიტომ იმის მომხრე ვარ, რომ უფრო მოზრდილი გოგონები ასპარეზობდნენ.

გარდა ამისა, რატომ არ უნდა ეწყობოდეს ასპარეზობანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, როგორც ეს სხვა სპორტის სახეობებშია? სპორტიდან მომწიფებული ტანმოვარჯიშის წასვლა ხომ ხშირად თავისებური პროტესტია უფრო ახალგაზრდათა „შემოტევის“ წინააღმდეგ.

**ა. ხომასურიძე:** როგორც სტატისტიკა მოწმობს, ჩვენი ქალები პასუხსაგებ საერთაშორისო ასპარეზობაში თავიანთ კოლეგებზე — მამაკაცებზე უფრო წარმატებით გამოდიოდნენ. მაგრამ ეს წარსულში იყო. საბჭოთა სპორტსმენების შედეგებმა გაუარესება იწყეს იმის გამო, რომ ბევრმა სპორტულმა მუშაკმა და მწვრთნელმა ჯეროვნად ვერ შეაფასა ექიმ-ენდოკრინოლოგის როლი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის პროცესში. ჩვენს რესპუბლიკაში სიტუაციას აღრმავებს კიდევ ორი ფაქტორი. ჯერ ერთი, სამხრეთის რესპუბლიკების მკვიდრთა ორგანიზმს გაცილებით უფრო მეტი მიდრეკილება აქვს ემოციური სტრესებისადმი, რომლებიც ორგანიზმში ენდოკრინოლოგიურ ცვლილებებს იწვევენ. მეორე, სპორტულ გატაცებაზე გავლენას ახდენს ქალთა ტრადიციული მდგომარეობა საზოგადოებაში — ოჯახი, შვილები.

**კორესპონდენტი:** რამდენად სწორია აზრი, რომ ფიზიკური დატვირთვა უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდა ორგანიზმზე?

**ა. ხომასურიძე:** სპორტული დატვირთვა, უდავოა, რამდენადმე აფერხებს სქესობრივ განვითარებას, რაც, სხვათა შორის, არც ისე ცუდია, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთელთა ადრეულ „მომწიფებას“. ამასთან, ცხოვრების ეს პერიოდი მოზარდისათვის დამახასიათებელია ხშირი კონფლიქტური სიტუაციებით. ამიტომ საჭიროა ექიმ-ფსიქიატრისა და ფსიქოპათოლოგის დაკვირვებანი.

ენდოკრინოლოგს კი დიდი სარგებლობა შეუძლია მოიტანოს, გაზარდოს 20-30 პროცენტით სპორტსმენი გოგონას შრომისუნარიანობა და მოაწესრიგოს ზრდა სქესობრივი მომწიფების პერიოდში.

უკვე ნახევარი წელია, რაც საქართველოს სპორტსახკომს წინადადება მივეცით ბავშვთა განყოფილების კვალიფიციურ სპეციალისტთა ძალებით მაღალ დონეზე გაგვეწია მომსახურება დაახლოებით ოცი სპორტსმენისათვის. მაგრამ სპორტის ხელმძღვანელთა და მწვრთნელთა პასუხობას წავაწყდით. როგორც ჩანს, იმედი არა აქვთ, რომ მიიღებენ საბოლოო შედეგს, არ სჯერათ მედიცინის მუშაკთა კომპეტენტურობისა.

**კორესპონდენტი:** კიდევ რას დაუმატებდით ჩვენს საუბარში აღძრულ პრობლემას?

**ნ. სალაძე:** ვოცნებობ შეექმნა სპორტული თეატრი, რომელშიც შერწყმული იქნება ყოველივე საუკეთესო, რაც აქვს ბალეტს, მუსიკას, რიტმულ და მხატვრულ ტანვარჯიშს. აი, სად გამოგვადგებიან ისინი, ვინც გადაწყვიტა ადრე მიატოვოს დიდი სპორტი, და არა მარტო ისინი. შეიძლება შეგვექმნა მასობრივ-სანახაობითი წარმოდგენების თეატრი, რომელშიც ბევრი ბავშვი მიიღებდა მონაწილეობას.

და კიდევ ერთი. სამწუხაროდ, ბევრი მშობელი ჯერ კიდევ ჯეროვნად არ აფასებს სპორტის როლს ბავშვის ცხოვრებაში, მეტისმეტად უფრთხილდებიან და იცავენ თავიანთ გოგონებს, მათი აზრით, დამოუკიდებლობისაგან. ვფიქრობ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უფრო კვალიფიციურად უნდა უწევდნენ ამას პროპაგანდას, განმარტავდნენ ჩვენი შესანიშნავი სპორტსმენების მაგალითით სპორტში მეცადინეობის აუცილებლობას.

**ა. ხომასურიძე:** როგორც ცნობილია, ყველა სპორტსმენი გადის, უფრო სწორად უნდა გადიოდეს, დისპანსერიზაციას. შეუძლიათ თუ არა მწვრთნელებს მიღებული მონაცემები გამოიყენონ დატვირთვის, საწვრთნელი მუშაობის მიცულობის დაგეგმვისათვის? სამწუხაროდ, არა. რადგან დისპანსერიზაციას ჩვენში ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს. თანამედროვე სპორტი კი, სადაც სულ უფრო მატულობს დატვირთვა, მოითხოვს კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებასა და ქმედით სარეაბილიტაციო საშუალებებს. წარმატებას მხოლოდ ის მოგვიტანს, თუ მწვრთნელ-პედაგოგი და ექიმ-ენდოკრინოლოგი ერთად დაგეგმავენ სასწავლო პროცესს, ამასთან სპორტული გზის დასაწყისშივე.

**მრგვალ მაგიდას უძღვებოდა ალექსანდრე მეტრეველი.**

**რედაქციისაგან: ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტები ერთხულოვანი არიან — ტანმოვარჯიშე გოგონების ადრეული სპეციალიზაციის დაწყება შეიძლება, მაგრამ საჭიროა მხოლოდ მკაცრი საექიმო კონტროლი და წვრთნის პროცესის შესაბამისი ორგანიზაცია. ასპარეზობაში მონაწილეობის დაწყება კი დამოკიდებულია სპორტსმენის ორგანიზმის ინდივიდუალობაზე.**

(საქინფორმი).



# საერთაშორისო, საკავშირო...

**ამ** დღეებში კაუნასში გამართულ გაზეთ „სოვეტსკაია ლიტვას“ X ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობაში, სადაც საბჭოთა მოკრივეებთან ერთად პრიზისათვის პოლონეთისა და გდრ-ის ქალაქების ბერლინისა და გერას მოკრივეები იბრძოდნენ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — კახაბერ სამხარაძე (60 კგ), ემილიან ჯულუხიძემ (75) და ზემძმე წონის სამველ ვართიკიანმა (სამივე — ასკ), საპატიო მესამე ადგილები მოიპოვეს.

• • •

გამარჯვების დღეს 9 მაისს კი ჭიათურის რინგზე დამთავრდა გენერალ ლესელიძის მეთერთმეტე ტრადიციული მემორიალური. ტურნირში 1969-70 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ.

ფინალური შეხვედრები 46 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ადგილობრივი სპორტსმენების ზვიად თაბუკაშვილისა და დავით ფარქოსაძის ბრძოლით დაიწყო, რომელშიც უძლიერესი ფარქოსაძე აღმოჩნდა. ახალქალაქელ აშოტ ნახატაკიანს (48) ფოთელმა მამუკა აბსარიძემ აჯობა. მომდევნო წონაში გარდაბანელი რუსტამ ისმაილოვისა და ტყიბულელი ედვარდ ვაჩიბერიძეს ორთაბრძოლაში უპირატესობა ტყიბულელ სპორტსმენს მიენიჭა. მჩატე წონაში (54 კგ) ცხაკაიელმა ზაზა დავითაიამ დაამარცხა მესტიელი გიორგი შუყვანი.

საინტერესო, თანაბარ ბრძოლაში ჩატარდა თბილისელ ლუხუმ თოთიაურისა და ქუთაისელ ჯუანშერ ქარციძის (პირველი ქვესაშუალო წონა), ტყიბულელ ალექსანდრე პატარიძისა და ქუთაისელ კახა ჭეიშვილის, თბილისელ მიხეილ ჩადუნელისა და ქუთაისელ დავით ბაჯაძის (ქვემძმე წონა) შეხვედრები, რომლებშიც მსაჯებმა გამარჯვებულად სცნეს პირველად დასახელებული სპორტსმენები.

დანარჩენ წონებში მემორიალის პირველი პრიზები წილად ხვდათ თბილისელ კობა კოროხაშვილს (57 კგ), ქუთაისელ თენგიზ მესხაძეს (60), თბილისელ ლევან აშიანს (67), ჭიათურელ დავით კაპანაძეს (71), თბილისელებს არტურ საღათელიანს (75), მურთაზ ქოჩლაევს (91) და მალხაზ ჩადუნელს (+91).

**რედაქციისაგან: ჭიათურაში გამართულ წლევანდელ ტურნირს მხოლოდ პირობითად თუ ეთქმოდა საკავშირო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებაზე მოკავშირე რესპუბლიკებიდან არათუ გუნდი, არც ერთი მონაწილე არ ჩამოსულა. რა მოხდა? იყო თუ არა გამართლებული ჭიათურაში ასეთი შეჯიბრების ჩატარება? თუ ამ საკითხს სპორტის პროპაგანდის თვალსაზრისით განვიხილავთ, რა თქმა უნდა, რეგიონებშიც უნდა ჩავატაროთ შეჯიბრებები, მაგრამ გაარჩინა, რა შეჯიბრება და როგორი რანგისა. ხდება, ამა თუ იმ ქალაქს ან რაიონს ჯერ რესპუბლიკური ასპარეზობისთვის არ უმასპინძლია, ჩვენ კი იქ საკავშირო პირველობას ვგეგმავთ. ამას დაფიქრება უნდა. უნდა დავფიქრდეთ იმაზეც, რომ სტუმარი გუნდის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მუდამ არის მგზავრობა და მიღებადაბინავება. სად არის ჭიათურა, როგორ მივუდგეთ, როგორ დაგვაბინავებენ? ამ კითხვებს ხომ მანამ უნდა გასცენ პასუხი მწვრთნელებმა, ვიდრე გუნდი საასპარეზოდ გემგზავრებოდეს. ჰოდა, არავინ აღმოჩნდა მსურველი თბილისში ჩამოფრენის შემდეგ ამხელა გზაზე, ისიც ასეთ მერყეე ამინდებში, თავი გაეწვალებინა.**

**თუკი შეჯიბრება დაგეგმილ რაოდენობაში არ ტარდება, მაშ რიღასთვის ვხარჯავთ ამდენ ხახხრებს...**

**კიდევ ერთი: დიდია ლესელიძის მემორიალის პატრიოტულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ორგანიზატორებს რატომღაც ეს მხედველობის გარეშე რჩებათ. სხვას რას უნა მივაწეროთ, რომ გმირის მემორიალზე არ იწვევენ ომის ვეტერანებს? მათი მიწვევა არც ჭიათურაში გამართული ასპარეზობის ორგანიზატორებს გახსენებიათ.**

**დაბოლოს ის შეიძლება არ ვიკითხოთ: რესპუბლიკის სპორტსახკომის სპორტის გამოყენებითი სახეობების განყოფილება და ამ განყოფილების ხელმძღვანელები წინდაუხედავად და საერთო ინტერესების საზიანოდ რატომ ატარებენ ამ შეჯიბრებას?**

## მოკლედ

### „ფოლადის“ გიჟები მეორე ადგილზე

**ჩვენი** რესპუბლიკის მოსწავლე კალათბურთილები ხშირად იმარჯვებენ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. ახლახან ხარკოვის მოსწავლეთა საკავშირო ტურნირში კარგად იასპარეზა რუსთავის „ფოლადმა“, ტურნირში მონაწილეობდა 1973 წელს დაბადებული სპორტსმენებით დაკომპლექტებული 12 გუნდი, რომლებიც ორ ქვეჯგუფად გაიყვნენ. პირველ სამ ადგილზე გასულებს ფინალურ ექვსეულში პირველი ადგილისთვის უნდა ებრძოლათ.

რუსთაველი კალათბურთელები (უფროსი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე) ფინალში გავიდნენ, მაგრამ აქ გადამწყვეტ ჭატჩში ედანველ თანატოლებთან დასანანი მარცხი იწვნიეს და საბოლოოდ მეორე ადგილზე გავიდნენ.

რუსთაველ კალათბურთელს რამაზ გოგობერიშვილს საუკეთესო მცველისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა.

**ზურაბ ჩაჩავა.**

# სსრ კავშირის თასზე

**დღეს გაიმართება სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მეოთხედფინალური მატჩები.**

გათამაშება შარშან დაიწყო და წლეულს მთავრდება, თასის კალენდარიც ისეა შედგენილი, რომ საპატიო პრიზის მფლობელმა წლეულსვე მიიღოს მონაწილეობა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ახალ გათამაშებაში.

მეოთხედფინალში საკმაოდ „ჭრელმა“ შემადგენლობამ მოიყარა თავი. მასში გამოდიან როგორც უმაღლესი, ისე I და II ლიგების გუნდები. ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესოა მინსკის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრა, საკავშირო ტელევიზია II პროგრამით დღეს მინსკიდან გადასცემს მატჩის რეპორტაჟს, დასაწყისი 20 საათზე თბილისის დროით.

საინტერესოა, აგრეთვე, თასის წარსული წლების მფლობელების — კიევის „დინამოსა“ და ლვოვის ასკ „კარპატის“ შეხვედრა. კიეველები, ცნობილია, წლეულს ერთობ არასტაბილურად გამოდიან საკავშირო ჩემპიონატშიც და საერთაშორისო სარბიელზეც, უნდა ვივარაუდოთ, რომ გუნდი სწორედ თასისთვის იბრძოლებს მთელი თავისი შესაძლებლობით. რაც შეეხება ასკ „კარპატის“, საბჭოთა ფეხბურთის ხანგრძლივ ისტორიაში ეს ერთადერთი გუნდია, რომელმაც I ლიგაში გამოსვლის პერიოდში, 1969 წელს მოიპოვა საპატიო თასი. საერთოდ კი ასკ „კარპატი“ უმაღლეს ლიგაშიც გამოდიოდა 1980 წელს.

საკავშირო ჩემპიონატში წლეულს ლიდერთა რიგებში იმყოფება ხარკოვის „მეტალისტი“; ეს გუნდი ახლა ნამდვილ საბრძოლო ფორმაში იმყოფება. მისი მეტოქეა სიმფეროპოლის „ტავრია“, რომელიც 1981 წელს უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, წლების მანძილზე წარმატებით იბრძოდა პირველ ლიგაში, მაგრამ ახლა II ლიგის VI ზონაში გამოდის.

და, ბოლოს, „დინამო“ (მოსკოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი). მოსკოვის „დინამო“ სსრ კავშირის თასს ექვსჯერ ფლობდა, „კოლოსი“ კი წლეულს საკმაო წარმატებით გამოდის I ლიგაში.

სსრ კავშირის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 22 მაისს, 14 ივნისს კი შედგება ფინალური შეხვედრა.

## ფეხბურთი

### I ლიგა

**12 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების X ტურის მატჩები.**

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — ასკ (დონის როსტოვი) 6:0 (2:0)**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 12 მაისი.**

**„ტორპედო“:** ტყებუჩავა, ფრუიძე, თევზაძე, ჭელიძე (პაპავა, 80), შამათავა, შენგელია (ტყავაძე, 87), ციკარიშვილი, გიგატაძე (მანაგაძე, 78). ხარაბაძე, თვარაძე, კვირნაძე.

**ასკ:** ბიჯიევი, დიკარევი, მინიბაევი (სპანდერაშვილი, 58), კალიტვინცევი, გლუშაკოვი, კიშინევსკი, ზეიბერლიწში, შინკარევი (სეროდა, 9), ნაგორნიხი, ვორობიოვი, მახალიტინი (კონცევენკო, 46).

**მსაჯი ა. გორინასი (ბარნაული).**

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ქუთაისის „ტორპედოც“ და როსტოვის არმიელთა გუნდიც საკმაო ხანს გამოდიოდნენ უმაღლეს ლიგაში. აქ მათ ერთმანეთთან სულ 16-ჯერ ითამაშეს, ამ მატჩებში როსტოველებს საგრძნობი უპირატესობა აქვთ მოპოვებული (9 მოგება, 5 ფრე, და მხოლოდ 2 წაგება, 30 გატანილი და 16 მიღებული ბურთი).

I ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ორივე გუნდი აშკარად უარუმატებლად გამოდის და სტუნინრო ცხრილის ბოლოში იმყოფება. ქუთაისელებმა ამჯერად დიდი მონდომება გამოიჩინეს და ის თამაში აჩვენეს, რომელსაც მათგან ასე მოელიან გულშემატკივრები. მთელი გუნდი მოქმედებდა ერთსულოვნად, კოლექტიურად და, თუმცა, სტუმრების კარში პირველი ბურთი მხოლოდ 27-ე წუთზე გავიდა, მასპინძლებს მანამდეც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. პირველი ბურთის გატანისას კომბინაციაში რამდენიმე ფეხბურთელი მონაწილეობდა, ბოლოს ბურთი ხარაბაძემ მიიღო და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში, 37-ე წუთზე კი სწრაფი გარღვევის შემდეგ ბურთი გადასცა შეგელიას და ანგარიში გახდა 2:0.

მესვენების შემდეგ ტორპედოელებს სრული უპირატესობა ეპყრათ, თამაშის აღწერას აღარ შეუდგებით, ბურთები გაიტანეს თვარაძემ, ხარაბაძემ, ტყავაძემ და კვირნაძემ.

იმედი გვაქვს რომ „ყინული“ დადგება, ქუთაისის „ტორპედომ“ თავი უნდა დააღწიოს კრიზისს.

**თამაზ ხარაბაძე.**

**(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).**

**„დინამო“ (ბათუმი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:0 (1:0).**

**ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 12 მაისი.**

**„დინამო“:** ბალაძე, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიტაია, ზედანია, კოკლიაშვილი, ბათუაშვილი, ბარათაშვილი, გორგილაძე (უგრელიძე, 65), ვლასენკო.

**„ზარია“:** ხუხლოვი, ნაიდენკო, ბაბოლიუკი (დოროფეევი, 73), იარმოლიჩი, ტარასენკო, კობზარევი, ბორკოვენკო, ზინჩენკო (კოლესნიკოვი, 53), იურანი (პოპოვი, 61), ხოროკა, იაროშენკო.

**მსაჯი ა. ბოგომაზოვი (ფრუნზე).**

ბათუმელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში, მათი უპირატესობა თანდათან სულ უფრო მძლავრდებოდა, კიკლიაშვილს, ვლასენკოს, გორგილაძეს ჰქონდათ ბურთის გატანის საშუალება.

38-ე წუთზე კიკლიაშვილმა მიიღო ანდღულაძის გადაცემა და შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. სუსლოვმა მოიგერია ბურთი, მაგრამ მას მიუსწრო გორგილაძემ — 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში სოროკამ სულ რამდენიმე მეტრის მანძილიდან ააცილა ბურთი დინამოელთა კარს, შემდეგ მასპინძლები კვლავ შეტევაზე გადავიდნენ, „ზარიის“ კარში დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან დაინიშნა საჯარიო, კიკლიაშვილმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 2:0. ვოროშილოვგრადელთა მრავალი ცდის მიუხედავად ანგარიში არ შეცვლილა, ბათუმელებმა დამაჯერებლად მიიყვანეს თამაში ბოლომდე.

**ოთარ ჭურვანიძე.**

**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

ამ ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების შეხვედრა, მაგრამ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ მატჩში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0. ინტერესს იწვევდა იაროსლავლის „შინიკისა“ და კემეროვოს „კუზბასის“ შეხვედრაც, გაიმარჯვა „შინიკმა“ — 1:0. ბოლო ადგილზე მყოფმა ვოლგოგრადის „როტორმა“ თავის მინდორზე დიდი ანგარიშით დაამარცხა ტაშკენტის „ფახთაქორი“ — 4:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0.

ჩვენი გუნდები XI ტურის მატჩებს 19 მაისს ჩაატარებენ. ქუთაისის „ტორპედო“ ორჯონიკიძეში შეხვდება „სპარტაკს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ — აბოვიანში „კოტაიკს“.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 14 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორეცი“ | 10 | 8 | 2 | 0 | 18-3 | 18 |
| „ლოკომოტივი“ | 10 | 5 | 5 | 0 | 13-4 | 15 |
| „კუზბასი“ | 9 | 5 | 2 | 2 | 10-3 | 12 |
| „შინიკი“ | 9 | 5 | 2 | 2 | 7-5 | 12 |
| „გეოლოგი“ | 10 | 4 | 4 | 2 | 11-7 | 12 |
| „დაუგავა“ | 8 | 5 | 1 | 2 | 13-7 | 11 |
| „კოლოსი“ | 10 | 5 | 1 | 4 | 12-8 | 11 |
| „როსტსელმაში“ | 9 | 5 | 1 | 3 | 12-8 | 11 |
| „ფახთაქორი“ | 9 | 4 | 1 | 4 | 10-11 | 9 |
| „პამირი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 11-10 | 9 |
| „ზარია“ | 10 | 3 | 3 | 4 | 7-11 | 9 |
| „მეტალურგი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 10-10 | 8 |
| „სპარტაკი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 6-7 | 8 |
| „დინამო“ ბ. | 10 | 3 | 2 | 5 | 6-10 | 8 |
| „დინამო“ სტ. | 9 | 2 | 4 | 3 | 7-13 | 8 |
| „კოტაიკი“ | 9 | 3 | 1 | 5 | 9-13 | 7 |
| „კრ. სოვეტ.“ | 10 | 2 | 3 | 5 | 6-7 | 7 |
| „ტორპედო“ ქ. | 10 | 2 | 3 | 5 | 7-12 | 7 |
| „ფაკელი“ | 10 | 2 | 3 | 5 | 7-12 | 7 |
| ასკ რ. | 9 | 2 | 2 | 5 | 4-13 | 6 |
| ასკ „კარპ.“ | 9 | 1 | 4 | 4 | 5-11 | 6 |
| „როტორი“ | 10 | 2 | 1 | 7 | 10-16 | 5 |

### საქართველოს პირველობა

**8 და 10 მაისს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურების შეხვედრები.**

## I ჯგუფი

**XII ტური**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0.** მსაჯი თ. ლაცაბაძე (თბილისი). გოლი: კიკნაძე („მეტალურგი“).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი )— „საპოვნელა“ (თერჯოლა) 6:1.** მსაჯი გ. ცქიტიშვილი (ქუთაისი). გოლები: ხურციელავა, ბაქრაძე, მებუკე-2, მარეხაშვილი-2 (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ფანჩულიძე („საპოვნელა“).

**„დინამო“ (გაგრა) — „ხულორი“ (ვანი) 1:0.** მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი). გოლი: მატოსიანი („დინამო“).

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „კახეთი“ (თელავი) 2:2.** მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ჩიქობავა-2 („ეგრისი“), გვრიტიძე-2, („კახეთი“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0.** მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: გაბისონია-2 („ამირანი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი გ. მარხულია.

**„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი) 3:0.** მსაჯი ე. გვარამაძე (რუხთავი).

მატჩის შედეგი გაპროტესტებულია.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0.** მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი). გოლები: გვიჩიანი-2 („კოლხეთი“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ივერია“ (ხაშური) 2:0.** მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: სვანაძე, ცნობილაძე („შადრევანი“).

**„მერცხალი“ (მახარაძე) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:0.** მსაჯი ვ. კლიშენკო (თბილისი). გოლები: ხომაშურიძე, როყვა („მერცხალი“).

**„იმერეთი“ (ქუთაისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 3:2.** მსაჯი ე. დავითიანი (ბათუმი).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0.** მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: ქავთარაძე, ქვილითაია („სამეგრელო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს „სქურის“ ფეხბურთელები ნ. ჩიკინიავი და თ. კვარაცხელია, ხოლო განზრახ ხელით თამაშისა და უხეში თამაშისთვის — ჩხოროწყუს გუნდის წევრები მ. ახალაია და კ. ქარჩავა.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:1.** მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: ბეკოევი, ხუბეჯიშვილი-2, („სპარტაკი“), ტაბატაძე („ქართლი“).

**XIII ტური**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0,** მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლი: მარეხაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ზესტაფონელმა გ. ხუჯაძემ უცენზურო სიტყვებით მიმართა თანაგუნდელს, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს.

**„დინამო“ (გაგრა) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:0.** მსაჯი გ. თხელიძე (თბილისი).

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1.** მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი). გოლები: შონია („ეგრისი“), ბრეგაძე („საპოვნელა“).

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1.** მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ბაბილოძე („მერცხალი“), ქვილითაია („სამეგრელო“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 0:0.** მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ბოლნისელი გ. გაბიძაშვილი.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1.** მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე). გოლები: ხუბულია, კვირტია („სქური“), გაგნიძე („ქართლი“).

**„ხიდი“ (ფოთი) — „ზესტაფონი“ (ზესტაფონი) 2:0.** მსაჯი ვ. ბერიძე (ბორჯომი). გოლები: ბაბალიანი, ბაბალიანი („ხიდი“).

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ალაზანი“ (ახმეტა) 2:0.** მსაჯი ბ. ბაბალიანი (ბორჯომი). გოლები: ბაბალიანი, ბაბალიანი („ტორპედო“).

**„ბორბალო“ (ვანი) — „ტალიაშვილი“ (თბილისი) 0:0.** მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

**„კოლხეთი“ (ხობი) — „კახეთი“ (თელავი) 2:0.** მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: ლატარია, გვიჩიანი („კოლხეთი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თელაველი ფეხბურთელები ნ. ჩავლეიშვილი და გ. ჭვრიტიძე.

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „ივერია“ (ხაშური) 3:1.** მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი). გოლები: ოსაძე, ღვინიაშვილი-2 („დურუჯი“), ნეკერაშვილი („ივერია“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ხაშურელი ვ. ჩადუნელი.

**„ხალხინო“ (გეგეჭკორი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:0.** მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი). გოლები: დანელია-2 („ხალხინო“).

**„იმერეთი“ (ქუთაისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:2.** მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი). გოლები: კუხიანიძე-2 („შადრევანი“), ტროიანი („იმერეთი“).

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1.** მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ბაბილოძე („მერცხალი“), ქვილითაია („სამეგრელო“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 0:0.** მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ბოლნისელი გ. გაბიძაშვილი.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1.** მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე). გოლები: ხუბულია, კვირტია („სქური“), გაგნიძე („ქართლი“).

**„ხიდი“ (ფოთი) — „ზესტაფონი“ (ზესტაფონი) 2:0.** მსაჯი ვ. ბერიძე (ბორჯომი). გოლები: ბაბალიანი, ბაბალიანი („ხიდი“).

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ალაზანი“ (ახმეტა) 2:0.** მსაჯი ბ. ბაბალიანი (ბორჯომი). გოლები: ბაბალიანი, ბაბალიანი („ტორპედო“).

**„ბორბალო“ (ვანი) — „ტალიაშვილი“ (თბილისი) 0:0.** მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

## ფეხბურთი

### მკითხველი — გაზეთი

## ვინ დაიშვება სასჯარეზოდ და ვინ — არა

**პრესაში,** მათ შორის თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია კიდევ ერთი ახალი შეჯიბრების შესახებ. ეს არის რესპუბლიკური ჩემპიონატი მინიფეხბურთში სოფლებსა და ქალაქის უბნებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, მიუხედავად ასაკისა. მათ შორის იმათაც, ვინც 1986 წლამდე დაანება თავი სხვადასხვა ლიგის გუნდებში თამაშს. კონკრეტულად კი ეს პუნქტი დებულებაში ასეა ჩამოყალიბებული: „შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ მოქალაქეებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 1986-87 წლების საკავშირო პირველობის უმაღლესი, პირველი, მეორე ლიგების შეჯიბრებებში, ასევე რესპუბლიკის ჩემპიონატებსა და ახალგაზრდულ საკავშირო (რესპუბლიკურ) პირველობებში“.

გუშინ საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტიდან გვაცნობეს, რომ ყველამ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის შეჯიბრებებში, უნდა მიმართოს კომკავშირის ადგილობრივ კომიტეტებს 20 მაისამდე.

### გიწვევთ კონკურსზე

# „ჭადრაკის უნივერსიტეტი“

**ჭადრაკის** გულშემატკივართ „საზრდო“ მთელი წლის განმავლობაში არ ელევათ. გაიხსენეთ თუნდაც გასული, 1986 წელი. ამ წელს მოეწყო ორი მატჩი მსოფლიო პირველობაზე, პრეტენდენტ ვაუთა ფინალური მატჩი, ქალთა და ვაუთა ოლიმპიადები. არც 1987 წელი გამოიყურება ღარიბულად. უკვე დამთავრდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაუთა მატჩი ა. კარპოვსა და ა. სოკოლოვს შორის; ჩელიაბინსკმა უმასპინძლა გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობებს; იაიცესა და ინდოეთის საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა; ახალგაზრდა ოსტატთა ტურნირი მოეწყო უფგოროდში; ახლახან კი უნიკალური მატჩის მოწმენი გავხდით — ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ საქართველოს ქალთა და იუგოსლავიის კლუბ „გოშას“ ვაუთა გუნდები.

საინტერესოა მიმდინარე წლის დარჩენილი ორი მესამედის კალენდარიც: შემოდგომაზე კვლავ მიუსხდებიან საჭადრაკო დაფას (უკვე მერამდენედ!) მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი და ამ ტიტულის მაძიებელი ანატოლი კარპოვი; ოღესა უმასპინძლებს საკავშირო თასის გათამაშებას სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის; გაიმართება საკავშირო პირველობა, „თეთრი ეტლის“ პრიზზე; ბარნაულში, ხერსონში, ირკუტსკსა და იაროსლავლში მოეწყობა საბჭოთა კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალები (ფინალური ასპარეზობა დაგეგმილია თბილისში ჩატარდეს); გუშინ გაიხსნა თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის და ა. შ.

„ლელოსა“ და მის საჭადრაკო დამატება „მერანის“ რედაქციაში ყოველდღე უამრავი წერილი მოდის, რომელთა ავტორები გვთხოვენ ვუპასუხოთ კითხვებზე, განვუმარტოთ, ავუხსნათ მათთვის ზოგიერთი გაუგებარი ან საინტერესო საკითხები. ჩვენ, ცხადია, შეძლებისდაგვარად ვაკმაყოფილებთ მათ თხოვნას როგორც წერილობით, ისე გაზეთის საშუალებით. და, რა თქმა უნდა, მომავალშიც ასე იქნება. მაგრამ **ამჯერად უკვე ჩვენ გვსურს შეკითხვებით მივმართოთ მკითხველებს. დიახ, „მერანის“ რედაქციამ გადაწყვიტა ჩაატაროს კონკურსი დევიზით: „ჭადრაკის უნივერსიტეტი“ და იგი მიუძღვნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს.**

რედაქციის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხს გასცემენ ჭადრაკის მოყვარულნი, „ლელოსა“ და „მერანის“ მკითხველები. საკონკურსო კითხვებში გათვალისწინებული იქნება ჭადრაკის სფეროს ნებისმიერი პერიოდი, ყველა დიდი შეჯიბრება, ცნობილი მოჭადრაკეების მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები, ერთი სიტყვით, ჭადრაკის მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. ჭადრაკის მოყვარულებს საშუალება მეიცემათ შეამოწმონ და გაიმდიდრონ თავიანთი ცოდნა.

**ჩვენი აზრით, ამ წამოწყებას ლაზათს შემატებს სპორტული ელფერიც: „ჭადრაკის უნივერსიტეტი“ ჭადრაკის მცოდნეთა და მოყვარულთა თავისებური ჩემპიონატი იქნება.**

**კონკურსის ჩატარების პირობები ასეთია:** ორ კვირაში ერთხელ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანში“ გამოქვეყნდება 10 კითხვისაგან შემდგარი სერია სათაურით — „ჭადრაკის უნივერსიტეტი“. პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა მე-10 დღე სერიის გამოქვეყნებიდან (ზუსტი თარიღი თან დაერთვება ყოველ ახალ სერიას). **პასუხები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ფოსტით, კონვერტზე დაწერეთ: „ლელო“, „ჭადრაკის უნივერსიტეტი“.** კონვერტში პასუხებთან ერთად უნდა ჩაიდოს სერიის აღმნიშვნელი თანდართული დანომრილი კუპონები **(წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხები არ იქნება რეგისტრირებული და განხილული).**

სულ გამოქვეყნდება კითხვების 10 სერია. კონკურსი გაგრძელდება 5 თვეს და შეჯამდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის წინ. თითოეულ კითხვაზე სწორი და ამომწურავი პასუხისთვის კონკურსის მონაწილე მიიღებს 1 ქულას (კითხვების გამეორება თქვენს წერილებში სავალდებულო არ არის). აქვე ავღნიშნავთ, რომ სერიებში პერიოდულად მოთავსებული ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნისათვის, აგრეთვე კომბინაციების მიგნებისთვის, კონკურსის მონაწილეთ დაერიცხებათ 2, 3 ან მეტი ქულა (სირთულის მიხედვით დასარიცხი ქულები წინასწარ იქნება განსაზღვრული). კონკურსში დაწინაურებულთა გვარები გამოქვეყნდება გაზეთ „მერანში“.

კონკურსში გამარჯვებისთვის და პირველი პრიზის მოპოვებისთვის, ცხადია, აუცილებელია ქულათა მეტი რაოდენობის მოგროვება ყველა სერიის შედეგების დაჯამებისას. მაგრამ, როგორც გამარჯვებისთვის, ისე პრიზიორთა გამოვლენისათვის, აუცილებელია ქულათა სულ მცირე 80 პროცენტის მოგროვება.

მაშ ასე, „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანი“ ჭადრაკის მცოდნეთა კონკურსში მონაწილეობისათვის იწვევს ჭადრაკის მოყვარულთ.

**I სერიის კითხვები „მერანში“ ხვალ, 15 მაისს გამოქვეყნდება.**




# მეორე ნახევარი დაიწყო

კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მოკრიბი ტურის მატჩებით დაიწყო ტურნირის მეორე ნახევარი.

**9. მაისი. უნივერსიტეტი (თბილისი) — გორი 104:81 (42:35). მსაჯები: რ. გოგელია, ვ. გოლოვანოვი, კომისარი — ა. მესხი (ყველა — თბილისი).**

**უნივერსიტეტი:** ძიძავა (41), ბოროდაჩოვი (19), დვალი (11), ხუხაშვილი (11), ტალაბაძე (10), ლომიძე (6), კვინიკაძე (6), დონაძე.

**გორი:** სულხანიშვილი (34), ზიბზიბაძე (16), ჩხეტიანი (11), ზამთარაძე (9), გეგეშიძე (9), რუსიშვილი (2).

**10 მაისი. უნივერსიტეტი (თბილისი) — გორი 129:80 (53:39). მსაჯები: გ. მოლოდინაშვილი, ვ. გოლოვანოვი, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**უნივერსიტეტი:** ძიძავა (39), ხუხაშვილი (19), ბოროდაჩოვი (17), დვალი (15), ტალაბაძე (15), ლომიძე (10), ემირიძე (8), ბარაბაძე (6).

**გორი:** ზამთარაძე (26), სამხარაძე (19), რუსიშვილი (11), ჩხეტიანი (7), ხაჩიური (7), ჯოლბორდი (4), ძინძიბაძე (4), სულხანიშვილი (2).

უნივერსიტეტის კალათბურთელთა უპირატესობა ორივე მატჩში აშკარა იყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გორელებმა მეტოქეს პირველ ტაიმებში უფრო ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს.

**9. მაისი. „სინათლე“ (თბილისი) — თელავი 130:84 (58:35). მსაჯები: თ. სადღობელაშვილი (საჩხერე). ე. კაპანაძე, კომისარი— მ. ბაგრატიონი (ორივე — თბილისი).**

**„სინათლე“:** შავლოხოვი (35), ღონღლაძე (33), ქორქია (23), პ. ჩაჩხიანი (20), ძიძიგური (19).

**თელავი:** დაღელიშვილი (22), ვარდიაშვილი (16), უძილაური (15), ტუხაშვილი (12), ბოლქვაძე (11), წიქარიშვილი (6), სულხანიშვილი (2).

**10 მაისი. „სინათლე“ (თბილისი) — თელავი 120:78 (52:38). მსაჯები: ე. კაპანაძე (თბილისი), თ. სადღობელაშვილი (საჩხერე), კომისარი გ. სვანიძე (თბილისი).**

**„სინათლე“:** ღონღაძე (43), ქორქია (22), შავლოხოვი (21), პ. ჩაჩხიანი (16), ძიძიგური (14), ზ. ჩაჩხიანი (4).

**თელავი:** დაღელიშვილი (23), ტუხაშვილი (18), უძილაური (16), ვარდიაშვილი (12), ბოლქვაძე (7), წიქარიშვილი (2).

ორივე შეხვედრის ბედი „სინათლის“ კალათბურთელთა სნაპირულნა სროლებმა გადაწყვიტა. პირველ დღეს თავი შავლოხოვმა გამოიჩინა, მეორე დღეს — ღონღაძემ. თელაველებმა ამ შედეგიანი მეტოქის თავდამსხმელთა უვნებელყოფა ვერ შეძლეს და ბრძოლაც ცხადია „სინათლის“ უფრო ძლიერმა კოლექტივმა მოიგო.

**9 მაისი. ბათუმი — ქუთაისი 71:83 (21:34). მსაჯები: მ. ქურიძე (თბილისი), ო. ფუხაშვილი (გორი).**

**ბათუმი:** ემირიძე (38), ლოლიშვილი (13), ყღენტი (8), ფურინი (5), შერვაშიძე (5), მეტრეველი (2).

**ქუთაისი:** ი. ვაშაკიძე (33), გოქსაძე (20), ხუჯაძე (12), ლ. ვაშაკიძე (9), კოხრეიძე (5), ნადირაძე (2), ანდღულაძე (2).

**10 მაისი. ბათუმი — ქუთაისი 83:66 (30:38). მსაჯები: მ. ქურიძე (თბილისი), ო. ფუხაშვილი (გორი).**

**ბათუმი:** ემირიძე (37), ფურინი (18), ლოლიშვილი (16), ყღენტი (6), ვიშნიაკოვი (4), შევცოვი (2).

**ქუთაისი:** ხუჯაძე (17), ი. ვაშაკიძე (12), ნადირაძე (10), ანდღულაძე (8), ნაცვლიშვილი (7), კოხრეიძე (5), გუბელაძე (4), კანდელაკი (3).

ბათუმელთა გუნდში შესაშური სტაბილურობით გამოირჩევა ემირიძე. ამ კალათბურთელმა ორ მატჩში თავის კოლექტივს 75 ქულა შესძინა. ემირიძის ტექნიკურმა თამაშმა განაპირობა ბათუმელთა გამარჯვება მეორე მატჩში. პირველ შეხვედრაში კი ქუთაისელთა უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო.

**9. მაისი. „მართვე“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 77:79 (40:42). მსაჯები: რ. ხომერიკი, რ. გოგელია, კომისარი — ა. მესხი (სამივე — თბილისი).**

**„მართვე“:** ცხვედიანი (20), ორმოცაძე (19), ღლონტი (19), ახვლედიანი (6), უსტიაშვილი (6), კ. ქართველიშვილი (4), რევაზიშვილი (3).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (33), კაპუსტინი (20), ჩერქეზიშვილი (11), კობეშავიძე (9), ტომარაძე (2), დათიკაშვილი (2), მაისურაძე (2).

**10 მაისი. „მართვე“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 91:97 (49:52). მსაჯები: რ. ხომერიკი, რ. გოგელია, კომისარი — ა. მესხი (ყველა — თბილისი).**

**„მართვე“:** გ. ქართველიშვილი (31), კ. ქართველიშვილი (16), ღლონტი (15), ცხვედიანი (13), ტუხაშვილი (9), ახვლედიანი (5), ორმოცაძე (2).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** კაპუსტინი (33), ლიპარტელიანი (24), ჩერქეზიშვილი (17), კობეშავიძე (12), ტომარაძე (7), დათიკაშვილი (4).

ორთავე მატჩი დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. სტუდენტთა გუნდი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც თამაშში კაპუსტინი ჩაერთო. მეორე შეხვედრის ბედი მნიშვნელოვანწილად სწორედ მისმა ზუსტმა სროლებმა გადაწყვიტა.

**9. მაისი. „დინამო“ (თბილისი)— რუსთავი 87:79 (47:40). მსაჯები: ა. როსტომაშვილი, გ. მოლოდინაშვილი, კომისარი — გ. სვანიძე (ყველა — თბილისი).**

**„დინამო“:** გეგეშიძე (35), ქორფაშვილი (22), ცაგარეიშვილი (14), ბერიძე (8), დაუშვილი (4), ი. ბაქრაძე (4).

**რუსთავი:** ჭანტურიძე (22), ქობულაძე (18), კეჭაყმაძე (17), შეხოვცევი (14), გაჩეჩილაძე (8).

**10 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — რუსთავი 59:79 (31:39). მსაჯები: ა. როსტომაშვილი, გ. მოლოდინაშვილი, კომისარი — მ. კეკელიძე (ყველა — თბილისი).**

**„დინამო:** გეგეშიძე (28), მოველიძე (14), დაუშვილი (10), ი. ბაქრაძე (8), ქორფაშვილი (5), ბერიძე (2), ვასაძე (2), ა. ბაქრაძე.

**რუსთავი:** ქობულაძე (21), კეჭაყმაძე (20), გაჩეჩილაძე (13), ჭანტურიძე (13), შეხოვცევი (8), აბაშიძე (4).

ზუსტად განმეორდა პირველი წრის შედეგები. რუსთავში მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები, თუმცა დინამოელთა მარცხი მეორე შეხვედრაში მაინც მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ.

**9 მაისი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — სოხუმი 76:86 (35:49). მსაჯები: რ. გელოვანი (თბილისი), თ. სადღობელაშვილი (საჩხერე), კომისარი — ლ. ჩხიკვაძე (თბილისი).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** ვაშაკიძე (23), გაბრიჭიძე (21), გოგელია (20), პეტრიაშვილი (5), ლიპარტელიანი (5), ჯამარჯიშვილი (2).

**სოხუმი:** ჯგერენაია (27), ბაღათურია (27), სუშჩენკო (15), პირველი (9), სულავა (6), ზანთარია (2).

**10 მაისი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — სოხუმი 97:73 (46:30). მსაჯები: რ. გელოვანი (თბილისი), თ. სადღობელაშვილი (საჩხერე), კომისარი — ლ. ფალავანდიშვილი (თბილისი).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (25), ვაშაკიძე (16), ჯამარჯიშვილი (13), ლიპარტელიანი (12), ცაგარეიშვილი (11), პეტრიაშვილი (7), გაბრიჭიძე (6), გოგელია (3), წურწუმია (2), ჩხიკვაძე (2), ქამუშაძე.

**სოხუმი:** ჭითავა (21), ჩუბინიძე (13), სუშჩენკო (11), ბაღათურია (10), სონინი (9), პირველი (5), სულავა (2), მატუა (2).

თბილისელებმა პირველ მატჩში მეტად საჭირო ქულა დაკარგეს. ამ დღეს სოხუმის გუნდმა აშკარად უკეთ ითამაშა. განმეორებით შეხვედრაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს.

**გთავაზობთ რესპუბლიკური ჩემპიონატის სატურნირო ცხრილებს.**

**I ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ (თბ.) | 12 | 10 | 2 | 1155_947 | 22 |
| სპი (თბ.) | 12 | 9 | 3 | 1094_973 | 21 |
| „დინ.“ (თბ.) | 12 | 6 | 6 | 926_964 | 18 |
| სოხუმი | 12 | 5 | 7 | 1009_1023 | 17 |
| რუსთავი | 12 | 4 | 8 | 930_1060 | 16 |
| გორი | 12 | 2 | 10 | 937_1084 | 14 |

**II ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკიფ (თბ.) | 12 | 11 | 1 | 1043_929 | 23 |
| „სინ.“ (თბ.) | 12 | 10 | 2 | 1216_1034 | 22 |
| „მარ.“ (თბ.) | 12 | 6 | 6 | 1028_1007 | 18 |
| ქუთაისი | 12 | 5 | 7 | 927_965 | 17 |
| ბათუმი | 12 | 2 | 10 | 905_979 | 14 |
| თელავი | 12 | 2 | 10 | 978_1203 | 14 |

## ვერცხლის მედლები — საბჭოთა რეგბისტებს

**9 მაისს,** ხარკოვში, სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) XXII ჩემპიონატის ბოლო მატჩში საბჭოთა ნაკრებს ნორკებმა ანგარიშით 50:6 დამარცხა პორტუგალიის გუნდი. ჩვენნა რეგბისტებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ვერცხლის მედლები. ამ მატჩში ქუთაისელმა ნუგზარ ძაგნიძემ გუნდს 14 ქულა შესძინა.

## პროფესიული ჩოგბურთი ოლიმპიადაზე

**სტამბული.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 92-ე სესიის გადაწყვეტილებით პროფესიონალი ჩოგბურთელები დაიშვებიან 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში, ოღონდ ერთი პირობით: თამაშების გახსნამდე ორი კვირით ადრე და ოლიმპიადის დამთავრებამდე ყოველგვარ კონტრაქტებზე უარი უნდა თქვან. ჩოგბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში გამოვა 64 ვაჟი და 32 ქალი.

სესიამ ხაზი გაუსვა, რომ პროფესიონალებს სეულის ოლიმპიადაში ექსპერიმენტის სახით დაუშვებენ.

## „ბოქსის“ ფურცლებზე

პოლონური ჟურნალი „ბოქსი“ ყოველწლიურად (1958 წლიდან მოყოლებული), აქვეყნებს ევროპის უძლიერესი მოყვარული მოკრივეების „რანგ-ლისტს“. როგორია წლევანდელი „რანგ-ლისტი“?!

**48 კგ:** 1. მარინოვი (ბულგარეთი), 3. მუნჩიანი, 9. მახმუტოვი. **51 კგ:** 1. კანი (თურქეთი), 4. ესკანოვი, 9. პაპიანი. **54 კგ:** 1. ალექსანდროვი, 7. არტემიევი, 9. ხდრიანი. **57 კგ:** 1. ზულოვი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), 3. ნურკაზოვი, 4. ხაჩატრიანი, 8. კაზარიანი. **60 კგ:** 1. ნაზაროვი. **63,5 კგ:** 1. შიშოვი, 9. რუფნიკოვი. **67 კგ:** 1. შმიტკი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), 2. ბოფკოხიანი, 6. ოსტროვსკი. **71 კგ:** 1. რიხტერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), 2. ავეტისიანი, 8. აკულოვი. **75 კგ:** 1. მასკე (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), 5. ბოღიგუზოვი, 7. ტარამოვი. **81 კგ:** 1. კირილოვი (ბულგარეთი), 3. შანავაზოვი. **91 კგ:** 1. ვან დერ ლიინდე (ჰოლანდია), 3. იაგუბკინი, 7. სებეევი. **+91 კგ:** 1. იაკოვლევი, 6. აბაჯიანი, 7. ორეშკინი, 10. მიროშნიჩენკო.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

„კოლმეურნის“ თბილისის საქალაქო საბჭო 17 მაისს, ქართულ ჭიდაობის დღეს, გლდანის ხეივნიან დარბაზში ატარებს შეჯიბრებას

**ქართულ ჭიდაობაში.**

დასაწყისი 12 საათზე.

# SOS
## აღვკვეთოთ უწესრიგობა მოედანზე

კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში კვლავ აღინიშნა წესრიგის დარღვევის ფაქტები. 9 მაისს ბათუმისა და ქუთაისის კალათბურთელთა შეხვედრაში მსჯავებმა ზ. ქურიძემ და ო. ფუხაშვილმა სამი სპორტსმენი გააძევეს მოედნიდან, სამივე შეუფერებელი საქციელისა და ურთიერთუხეშობისთვის. ესენი არიან — ქუთაისელები ვაშაკიძე და გოქსაძე, აგრეთვე ბათუმელი შერვაშიძე.

არასპორტულად მოექცნენ ერთმანეთს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელი ქამუშაძე და სოხუმელი ბაღათურია. მსჯავებმა ისინიც მოედნიდან გააძევეს.

კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია თავის მორიგ ხხდომაზე განიხილავს წესრიგის დამრღვევთა საკითხს და მათ საკადრის სასჯელსაც გამოუტანს. მაგრამ ჩვენ უფრო ის გვაშფოთებს, რომ ბოლო დროს დისციპლინის დარღვევის ფაქტები გახშირდა. გასაგებია, რომ მოთამაშეები მწარედ განიცდიან საკუთარი კოლექტივის ყოველ წარუმატებლობას, მაგრამ, ჩვენის აზრით, უმჯობესია მეტი ყურადღება ვარჯიშს დაუთმონ, ტექნიკური ოსტატობის ამაღლებას. აი, მაშინ, დარწმუნებული ვართ, ასეთი უხიამოვნო ეპიზესები აღარ განმეორდება.

რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩებზე ბევრი მაყურებელი დადის, მათ შორის ნორჩებიც არიან. რა მაგალითს აძლევენ პატარებს უფროსები? მწვრთნელებმა, გუნდის ხელმძღვანელებმა, კოლექტივებმა მკაცრად უნდა იმსჯელონ უდისციპლინო სპორტსმენებზე და ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთონ უწესრიგობანი მოედანზე. სხვა მხრივ ამ კარგ და სასარგებლო ღონისძიებას უხიამოვნო ჩრდილი ადგება.

# მწვრთნელს ფანტაზია უნდა ჰქონდეს

მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტის სახელი მას აშშ-ის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებ გუნდთან მუშაობამ მოუტანა. არი სელინჯერის დახმარებით ამ გუნდმა თანამედროვე ფრენბურთის გრანდებს შორის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიმკიდრა. თავისი მისია შესრულებულად რომ ჩათვალა, არი ევროპაში გადავიდა სამუშაოდ და ახლა ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებს წვრთნის.

სელინჯერი ხალისით საუბრობს ჟურნალისტებთან და, რაც მთავარია, ბევრ საინტერესო და ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამს.

**● რა არის თქვენი, როგორც მწვრთნელის კრედო?**

— ცუდი შეგირდები არ არსებობენ, არიან ცუდი მწვრთნელები.

**● რა მიზანს ისახავს თქვენი მეთაურობით ჰოლანდიის ნაკრები?**

— გაისად ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში უნდა გავიმარჯვოთ, მერე კი ოლიმპიადაზეც კარგად უნდა გამოვიდეთ.

**● რიხი იმედი გაქვთ?**

— მე ჩემი ნაკრებისათვის კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე და შრომისმოყვარე გოგონები შევარჩიე. სპორტში მიზნის მისაღწევად ეს ორი თვისებაა აუცილებელი — ფიზიკური მონაცემები და შრომის სიყვარული.

**● მოთამაშეთა ხულიერ მისწრაფებებს ანგარიშს არ უწევთ? ჰოლანდიაში ხომ ფრენბურთი არასოდეს ყოფილა პოპულარული სპორტი?**

— ამ გუნდს ჯერჯერობით დიდი პრეტენზიები არა აქვს და ეს მე ხელს მაძლევს. მისწრაფებას და რწმენას თანდათან შევიძენთ, როცა მიზანი მოახლოვდება და გამოიკვეთება.

**● ამერიკის შეერთებულ შტატებში თქვენი მიზნის განხორციელებას დიდი დრო დახჭირდა?**

— მსოფლიო სპორტის მწვერვალების დაპყრობას ექვსი-რვა წელი მაინც უნდა. ამერიკაში ეს გზა ჩვენ სამ-ოთხ წელიწადში გავიარეთ. მთავარია ხელს არავინ გიშლიდეს და მუშაობაში აქტიურად არ გერეოდნენ. ეს მოთხოვნები ამერიკელებთან პრინციპად ვაქციე, მათაც დამიჯერეს და გამომყვნენ. ევროპაში უფრო სულსწრაფი ხალხი ყოფილა, ამიტომ პრინციპების შეცვლა მომიწევს.

**● რამ შეიძლება მწვრთნელს ხელი შეუწყოს მუშაობაში?**

— პირადად მე მხოლოდ ადმინისტრაციასთან მიჭირს ურთიერთობა. მოთამაშეები არავითარ სიძნელეს არ მიქმნიან.

**● ხომ არ არის თქვენი მეთოდები განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული?**

— არა მგონია, მე კავშირს ვამყარებ მხოლოდ მათთან, ვისაც მუშაობა უყვარს. მწვრთნელს და მოთამაშეებს საერთო მიზანი უნდა ჰქონდეთ. სხვანაირად არაფერი გამოვა.

**● დისციპლინაზე რას გვეტყვით?**

— მეტის მეტი სიმკაცრე უაზრობაა. სპორტსმენმა უნდა შეიგნოს, რომ შენ მისთვის ირჯები და არა პირიქით.

**● რას უსურვებდით თქვენს კოლეგებს?**

— იფიქრონ მეტი და იყვნენ ორიგინალურნი. მწვრთნელი მდიდარი ფანტაზიის გარეშე საცოდავია.

**ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცხადებს, რომ საკონკურსო გამოცდების ჩატარების შედეგად ბავშვთა ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში გამოთავისუფლებულ ადგილებზე მიმართვების გაცემა სამედიცინო დასკვნებისთვის იწარმოებს 25 მაისიდან. ჯგუფებში მიიღებიან 6-12 წლის ასაკის ბავშვები. მეცადინეობა დაიწყება 1 ივნისიდან.**

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 99-80-19 ან 99-82-31 ჩვენი მისამართია: ლენინის ქუჩა, პირველი შესახვევი №34. ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06916